საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10373/01
04/10/2021

10373-01-2-202110041458

შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდს“
მის: ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი, N4

თქვენ მიერ 2021 წლის 22 ივლისს (N13022 წერილი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ - კასპისა და გორის მუნიციპალიტეტებში, შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდის“ 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის („ნიგოზა”), 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაცი გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რაც საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ:

- მიზანშეწონილია გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივების ნაწილს, ბიომრავალფეროვნების კუთხით ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დაემატოს თითოეული ალტერნატივის აღწერა და ერთმანეთთან შედარება (დადებითი და უარყოფითი ასპექტების ურთიერთშედარება და ანალიზი), ბიომრავალფეროვნებაზე და მის სენსიტიურ რეცეპტორებზე (სენსიტიური სახეობები და ჰაბიტატები) მოსალოდნელი ზემოქმედების ჩვენებით. ასევე, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების ჭრილში დეტალურად/დამატებით დასაბუთდეს შერჩეული ალტერნატივის უპირატესობა, სხვა ალტერნატიულ ვარიანტებთან შედარებით. ამასთან, ტერიტორიების შეიპ-ფაილები წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა განხილული ალტერნატივისთვის;
- ასევე, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 28 სექტემბერს სამინისტროს თანამშრომლების მიერ, განხორციელდა საველე გასვლა კასპის მუნიციპალიტეტში არსებული ფასკუნჯის ბუდეების ვიზუალური დათვალიერების მიზნით. შედეგად, კვერნაკის ქედის სამხრეთ ფერდობზე გამოვლენილ იქნა ე.წ „მეოთხე ბუდე“, თუმცა ვინაიდან ბუდე მიტოვებულია, ძნელია დასაბუთდეს, რომელი სახეობის ფრინველი შეიძლება იყენებდეს მას. ამასთან, ზემოაღნიშნული ბუდე ვიზუალურად ძალიან განსხვავდება ფასკუნჯის სხვა, ნანახი ბუდეებისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია, საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ, აღნიშნული (ე.წ „მეოთხე ბუდის“) და ფასკუნჯის სხვა დადასტურებული ბუდეების მონიტორინგთან დაკავშირებით, წარმოადგინოს ინფორმაცია შესაბამისი დასაბუთებით;

აგრეთვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით, საჯარო განხილვაზე შენიშვნები გამოითქვა ა/ო საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის - „საბუკოს” წარმომადგენლის მიერ, ხოლო წერილობითი ფორმით შენიშვნები მათ მიერ

წარმოდგენილ იქნა ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე. გიგზავნით აღნიშნულ შენიშვნებს და გთხოვთ კომპანიის მიერ, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის/ების მონაწილეობით მოწოდებულ იქნას არგუმენტირებული მოსაზრებები/დასაბუთება, როგორც საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის - ,,საბუკოს" ასევე სამინისტროს წინამდებარე შენიშვნებთან დაკავშირებით.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული საკითხების/შენიშვნების შესახებ დამატებითი, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის 1 თვის ვადაში სამინისტროში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: ტექსტის მიხედვით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე